ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 18

2023 წელი 18 დეკემბერს

ქ. ბაღდათი

12:00 საათი

2023 წლის 18 დეკემბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძემ, ნინო კვირიკაძე, მაია კბილაშვილი, გიორგი კოტორეიშვილი, მურად ბურჯანაძე, ზვიად გუმბერიძე, ვლადილერ წიქორიძე, გვანცა გრძელიძე, გურამ ჩხეიძე, დიომიდე კიკნაველიძე,ირაკლი გოგსაძე, შადიმან გორგოძე.

სულ: 23 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ჯუმბერ რობაქიძე, მაკა მესხი, ზაზა ზივზივაძე, შალვა მშვილდაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ვაჟა ჩაფიძე- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

თამთა ჯიხვაძე - საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე რომელმაც აღნიშნა, რომ „მუნიციპალიტეტის მერიიდამ შემოსულია წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ, სადაც უნდა განვიხილოდ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილება.“ ნ. გიორგიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ვაჟა ჩაფიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

2. სხვადასხვა

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 23 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ," ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანოს-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსმა - ვაჟა ჩაფიძემ.

აზრი გამოთქვეს: მურად ბურჯანაძემ, გურამ კიკნაველიძემ, მაია კბილაშვილმა ნოდარ გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნა სხდომას მიაწოდა, ამავე კომისიის თავმჯდომარემ - მურადი ბურჯანაძემ.

საკრებულოს სხდომა ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N16 დადგენილება :**დ-67.6723352001** თარიღი:**18/12/2023** (დადგენილება თან ერთვის თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 23 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

2. სხვადასხვა. საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ საკლრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებას სხდომების გადატაისა და 2024 წლის 1 მარტამდე საკრებულოს მორიგი სხდომების 11:00 საათზე დაწყებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**